ბატონთ. მეშვარც. ხოც.-ფედ. პარეგ. პარტია

ტიბილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაეთ „სრიგუნა“ ლირს
თვიურად 400,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 20,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მანეთი
4 „ 100,000 „
სამგლოვიარო განცხადებელ
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 468 კვირა, მაისის 13 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერიალისტური რიხით

იმპერიალისტურ სამყაროს ჰეგემონს — ინგლისს, ხშირად უხდება ინგლისური დეენტმენობის დარღვევა. იგი ზოგჯერ იმპერიალისტური რიხით იწყებს ხოლმე ლაპარაკს. ხოლო როცა ინგლისურად სდუმს, მაშინ კი იმპერიალისტური რიხით აკეთებს საქმეს.

აღსანიშნავია ინგლისის მემორანდუმი მოსკოვის მიმართ, რომელშიაც ინგლისის მთავრობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა არ იცავს შეთანხმების ხელშეკრულებას. ინგლისის მთავრობა იმუქრება, რომ თუ მისი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული 10 დღის განმავლობაში, იგი გაუქმებულად ჩასთვლის საბჭოთა რუსეთთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას.

ცხადია, რომ ინგლისის მთავრობას ნაკლებად აინტერესებს მეთევზეთა ბედი, რომლის ინტერესს იცავს იგი სხვათაშორის. თავის მემორანდუმში. მისი უკმაყოფილების უმთავრესი საფუძველია ის სამრეწველო ინტერესები, რომელიც ვერ კმაყოფილდება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის გამო.

ინგლისის მიერ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში არ არსებობს ამისათვის რაიმე. პირობები, ისე საშინაო პოლიტიკაშიაც არც ისე ჰარმონიულად აქვს საქმე მონარქიულ ინგლისს.

დეპეშები გადმოგვცემს, რომ ინგლისის მუშათა პარტია ლონდონის ცენტრში ემზადება დიდი დემონსტრაციისათვის, რომლის ლოზუნგები იქნება მშრომელთა სოლიდარობის დაცვა და საბჭოთა მთავრობის ცნობა. არა თუ მუშათა წრეები არიან მომხრე საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის, არამედ თვით სამრეწველო წრეებიც დაინტერესებული არიან სავაჭრო ურთიერთობით და გაკვირვებას გამოსთქვამენ ინგლისის ნოტის გამო.

საბჭოთა ქვეყნები თავისი მხრით არ არღვევენ საერთაშორისო სამართლის თეორიასა და პრაქტიკას. „დეილი ჰერალდი“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ ინგლისის ნოტას არ ამაგრებს საერთაშორისო სამართლის არც თეორია და არც პრაქტიკა და დასძენს, რომ იგი ეწინააღმდეგება დიპლომატიური ზრდილობის ტრადიციებსო.

რა თქმა უნდა საბჭოთა ქვეყნებს არ გაუკვირდება ინგლისის მიერ „დიპლომატიური ზრდილობის“ დავიწყება. ინგლისის „დიპლომატიური ზრდილობა“ ხან ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის სიხსლის ნაკადს დააყენებს, ხან საფრანგეთის ჯალათობაზე თვალს არ აახელს როცა ეს მისთვის საჭიროა და ხან კი ლოზანას კონფერენციაზე ამეტყველებს გაქნილ კერზონს, რომ „დიპლომატიური ზრდილობით“ მოხიბლოს ისმეტ ფაშის სულისყვეთება.

ისიც კარგათ ვიცით, რომ ინგლისმა ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო იმპერიალისტური რიხით გზის გაკაფვა. მან ვერ შესძლო ვერც ერთი დიდი საკითხის გადაწყვეტა და დღესაც თავს დასტრიალებს იმ საკითხებს, რომელიც ომმა გამოიწვია.

საბჭოთა ქვეყნები თავის სადარაჯოს სამართლიანად მიმართული იარაღით იცავენ და თუ ვინმე გაბედავს იმპერიალისტურ ავანტიურას მას წინ დაუხვდება რევოლიუციონური თავდაცვა.

ისტორიული გაკვეთილი

„შემავიწროებელი ერთი **ერისა** მტერია ყველასი. იგი აწარმოებს ომს **ხალხის** წინააღმდეგ, რომ შეაინეროს თავისუფლების შედეგები და გააუქმოს **ადამიანის უფლება**. იგი უნდა იდევნებოდეს, როგორც მკვლელი და ავაზაკი“.

რობესპიერის ორგანოდან.

კაცობრიობის ისტორიაში ორმა დიდმა რევოლიუციამ ღრმა კვალი დაჩნია. პირველი საფრანგეთის რევოლიუცია, მეორეა რუსეთის. საფრანგეთის რევოლიუციამ ფეოდალური კულტურის დეგრადაცია დაიწყო, ხოლო რუსეთის რევოლიუციამ კაპიტალისტური კულტურის. პირველიც და მეორე კაცობრიობას მოევლინა, როგორც რისხვა, თანმხლები უდიდესი ტკივილებით. პირველმაც და მეორემაც უდიდესი პროგრესიული მისია შეასრულეს ისტორიულ პროცესში.

ამ ორი რევოლიუციის დახასიათება და მათ შორის პარალელის გაყვანა ერთ მხრივ და განმასხვავებელი მხარეების აღნიშვნა მეორე მხრივ, თავის თავად მეტად საინტერესო თემას წარმოადგენს. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ნაციონალური მომენტი ორივე რევოლიუციის პროცესში.

რევოლიუციონურ ომების დროს საფრანგეთის ჯარებს წინ მიუძღოდა დროშები შემდეგი წარწერით: „Liberté des mers! Egalité des droits de toutes les nations!“ (თავისუფლება ზღვების! თანასწორობა ერების!).

დღესაც, რევოლიუციონურ ომების დროს, რუსეთის ჯარს წინ მიუძღვის დროშა წარწერით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“.

პირველი დროშა ბურჟუაზიული რევოლიუციის სიმბოლო იყო, მიმართული ფეოდალიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეროვნულ სახელმწიფოს სასარგებლოდ. მეორე დროშა სოციალისტური რევოლიუციის სიმბოლოა, მიმართული კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების სასარგებლოდ.

საფრანგეთის რევოლიუციის დაცვა არსებითად საფრანგეთის დაცვათ იქცა. საფრანგეთი ან უნდა ქცეულიყო ევროპის მონარქთა სამფლობელოდ, კოლონიალურ ქვეყნად, ანდა დაეკარგა მას დემოკრატიული რეჟიმი და რევოლიუციის მონაპოვარი, ან კიდევ რევოლიუციონური მოძრაობა უნდა გაფართოვებულიყო და მეზობელ ერებში უნდა შეეტანა მას თავისი დროშა. ამიტომ რევოლიუციონურმა ომმა მიიღო ნაციონალური ომის ხასიათი.

როგორც ვიცით, საფრანგეთის რევოლიუციის დასაწყისი ნაციონალურ თავისუფლების ლოზუნგის ქვეშ მიმდინარეობდა. რაციონალისტურ ფილოსოფიის ნიადაგზე განახლებული ბუნებრივი სამართალი პრაქტიკაში ცდილობდა გატარებას და ბუნებრივ უფლებათა დაცვას, რასაც უნივერსალური უცვლელი და სამარადისო ხასიათი ექნებოდა. კონდორსე დეკლარაციას შესთავაზებდა კონვენტს, რომელიც გარკვევით აღნიშნავდა, რომ „საფრანგეთის ერი არ დაარღვევს ადამიანთა ბუნებრივ უფლებას და არ მიაყენებს ზიანს სხვა ერთა დამოუკიდებლობასაო“,

მონტანიანების ბატონობის ხანაში კარნ[illegible] გორიულ ფორმებში აცხადებდა, რომ „ყოველ ნაციას აქვს ურყევი უფლება იცხოვროს ცალკე ან შეუერთდეს სხვას. ფრანგები ცნობენ სუვერენობას თვით ერებისას და მათი სისტემა არის ძმობის სისტემაო“.

კონვენტის დეკლარაცია აღნიშნავს „დამოუკიდებელ და სუვერენულ ერების“ მიუხედავად „ინდივიდთა რაოდენობისა და ტერიტორიის სიფრცისა, რომელიც უჭირავთ მათ“.

რობესპიერის ორგანო ჩვენ მიერ ეპიგრაფად აღებულ დებულებას აყენებს და ერთა შემავიწროებლობის დამნაშაობას ადარებს მკვლელისა და ყაჩაღის ბოროტმოქმედებას.

ყოველივე ამის შემდეგ ნაპოლეონის ეპოქის პერიოდი ამსხვრევს და ფეხქვეშ თელავს ერთა უფლებებს.

მეტად ზერელე ხასიათის იქნებოდა ჩვენი მსჯელობა, თუ მხოლოდ ნაპოლეონის პიროვნებაში დავსახავდით ერთად-ერთ მიზეზს ამ მოვლენის ახსნისათვის. როგორც გარიბალდისა და მაძინის, ფრანკლინისა და ვაშინგტონის, გერმანეთის რკინის კანცლერის ბისმარკისა და დღეს ქემალ ფაშის თავგანწირულობა, პოლიტიკური ტალანტი არ კმაროდა მათი მისიის შესრულებისათვის, ისე ნაპოლეონის ლომისებური, შებრძოლი ბუნება ვერას გახდებოდა, თუ ობიექტიური პირობებიც ხელს არ უწყობდა მისი ლაშქრობის პროცესს.

ეს ობიექტიური პირობები უმთავრესად მდგომარეობდა მასში, რომ საფრანგეთის რევოლიუციის ომებმა ნაციონალური ხასიათი მიიღო. ძალა მიმართული საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ ბუნებრივად იყო **საფრანგეთის ერის** მტერი. თავდაცვა **საფრანგეთის ერისა** მოითხოვდა მისი გავლენის გავრცელებას მეზობლებთა შორის. და საფრანგეთის დაპყრობა ან ფრანგთა მიერ მეზობელთა დაპყრობა. აი ის შიშველი ფაქტი, რომელსაც შესცვლიდა ვერც კონვენტის დეკლარაცია და ვერც მეოცნე ვექილის, რობესპიერის აღშფოთება.

მთელი ტრაგედია საფრანგეთის რევოლიუციისა და თვით ნაპოლენის პიროვნებისა ამ ნიადაგზე აღმოცენდა. ნაპოლეონი ელენეს კუნძულისაკენ გაისტუმრა არა მარტო მოსკოვის ყინვებმა და რუსების გმირობამ, არამედ მის მიერ დაპყრობილ ერთა უკმაყოფილებამაც.

აქვს თუ არა რუსეთის რევოლიუციაში ანალოგიურ მოვლენას ადგილი? ცხადია დღეს გაკადნიერებული გენერლები ყველა იარაღ აყრილია და ნაპოლეონის სთარეშოდ არ არის გამზდარი საბჭოთა რესპუბლიკები, მაგრამ ერთგვარი ანალოგია მაინც არსებობს.

რუსეთის რევოლიუციამ ინტერნაციონალური ლოზუნგებით დაიწყო ბრძოლა. მან დაისახა მეტად დიდი მიზნები. სხვა გვარად არც შეიძლებოდა. სოციალურმა მოძრაობამ უნდა გაიმარჯვოს ინტერნაციონალური მაშტაბით. სხვა გზით იგი უეჭველად დამარცხდება.

ჩვენ, ვიცით, რომ ჯერ-ჯერობით რევოლიუცია—რეაქციის დაპირისპირებამ ვერც ერთი მათგანის გამარჯვება ვერ მოვგცა. რამდენადაც რევოლიუციონური მოძრაობა მოექცა ყოფილი რუსეთის ფარგლებში, იმდენად მან მიიღო ნაციონალური ხასიათი. დღეს უკვე ფაქტის საკითხია რუსულ შოვინიზმში ფართო ხასიათი. როგორც საფრანგეთის რევოლიუციისთვის ბრძოლა **საფრანგეთის** ბრძოლა იყო, ისე რუსეთის რევოლიუციისთვის ბრძოლამ მიიღო **რუსეთისათვის** ბრძოლის ხასიათი. შეგნებული რუსის წინაშე დაისვა ალტერნატივა—ან საბჭოთა **რუსეთის** დაცვა ან **რუსეთის** წინააღმდეგ ბრძოლა. ამ გარემოებას ხელს უწყობს აგრეთვე ადგილი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ნაწილობრივად აკმაყოფილებს ბურჟუაზიის კლასიურ ინტერესებს. ამიტომ რუსეთის მუშათა კლასის ირგვლივ დღეს ხდება მთელი რუსეთის ხალხთა კოორდინაცია. როგორც წვრილ-ბურჟუაზიული, ისე სხვილ-ბურჟუაზიული ელემენტები ურიგდებიან საბჭოთა რუსეთს, რადგან რევოლიუციონური პროცესის შემოფარგვლა ყოფილი რუსეთის საზღვრებით მოძრაობას ნაციონალურ ხასიათს აძლევს.

ამას წინეთ გ. ზინოვიევი სწერდა, რომ „ახალი სტუდენტი და ახალი მასწავლებელი“ გამოჩნდა ჩვენს რიგებშიო. იგი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული წრეებიდან გამოსული ხალხიც ურიგდება მშრომელთა ბატონობასო. ჩვენ შეგვიძლია კიდევ დაუმატოთ ვრანგელისა და დენიკინის გენერლები. და თვით „წმინდა მამები“ ახალი ეკლესიის სახით ურიგდება საბჭოთა რუსეთს.

ყოველივე ეს სიმპტომია იმ გარემოების, რომ თუ კომუნისტებისათვის არა, რუსეთის ხალხისთვის რევოლიუციამ ნაციონალური ხასიათი მიიღო.

ცხადია, ბოლშევიკები არასოდეს არ შემოარგლავენ თავის მოღვაწეობას ყოფილი რუსეთის [illegible] საერთაშორისო პოლიტიკიდან, რომ არ გამოიყენონ ევროპის კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საშინაო პოლიტიკაში გადაჭრით დააყენეს რუსული შოვინიზმისა და არა რუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

ყოველივე ეს ასეც უნდა იყოს.

ისტორიას არ ქმნის მარტო დიდი პიროვნება, ან პოლიტიკური პარტია.

მაგრამ მას შეუძლია პოლიტიკურ მოვლენას განსაზღვრული გეზი მისცეს. კომპარტიის მისიაც აქ არის. მან უნდა შესძლოს რუსეთის რევოლიუციის ინტერნაციონალიზაცია.

როგორც საფრანგეთის რევოლიუციამ დაიწყო ერთა უფლებებთ დაცვით და დაასრულა მისი ფეხქვეშ გათელვით. ასეთივე ბედი მოელის დღევანდელ რევოლიუციას. თუ ამ მხრით მეტი სიფრთხილე არ იქნა გამოჩენილი და მეტი ობიექტიური შესაძლებლობა მოცემული.

როგორც რობესპიერის მჭერმეტყველება და კონვენტის დეკლარაცია ვერას გახდა, ისევე ლენინის მჭერმეტყველება და კომინტერნის დეკლარაცია ვერას გახდება თუ მაგარი ხელით მტკიცე საქმე არ გამოიჭედა ერთა უფლებების დაცვისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკებს მთელი მსოფლიოს ერთი მეექვსედი უჭირავს. საერთაშორისო პოლიტიკურ კონიუქტურის არსებულ პირობებში მას ვერ დაამსხვრევს საგარეო პოლიტიკის ავანტიურები. გაცილებით მეტი საფრთხეა საშინაო პოლიტიკის სფეროში.

სამეურნეო და ეროვნული ფრონტის გამაგრება ქვაკუთხედია საბჭოთა რესპუბლიკების არსებობისა.

ხელის შემშლელი სამეურნეო აღორძინებისა უნდა დაისაჯოს როგორც მოღალატე და ქურდი, „შემავიწროებელი ერთი ერისა... როგორც მკვლელი და ავაზაკი“. საზოგადოებრივი რეგულიაცია სამეურნეო სფეროშიც კოოპერატივიზაცია და კომუნალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია ეროვნული პოლიტიკის სფეროში და მაქსიმალიზმი საღი ეროვნული პოლიტიკის.

ამ ორ ფრონტზე ბოლშევიკებმა ეროვნული ბედი, რომელიც საფრანგეთის რევოლიუციამ ჩაიდინა.

სერ. ამაღლობელი.

ბალიერ-ტელეგრამები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

(ბიულეტენი № 31).

მოსკოვი, 10 მაისი. გუშინდელი დღის განმავლობაში ტემპერატურა—36,9, არ ასცილებია, მაჯისცემა—88—94. წუთში. კატარალური მოვლენები საშარდე ბუშტის მხრივ შემცირდა.

ღღეს ტემპერატურა—36,8. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

1923 წ. 10 მაისი, ნაშუადღ. 2 საათი.

პროფესორები: **ფონრსტერი ნონნე, კრამერი,**
პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**
ექიმი **ელისტრატოვი.**
ჯანმრთელობის სახ. კომისარი: **სემაშკო.**

რუსეთის ოლქის ოკუპაცია

რომი 11 მაისი. პარიზიდან მიღებული ცნობით საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს, კრედიტს —250 მილიონ ფრანკს ოქროთი ოკუპაციით იანვრის თერთმეტიდან ათ მაისამდი გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად.

ბერლინი 11 მაისი. ვანდერველდემ განაცხადა რომ ბელგიის სოციალისტები არა თვლიან საჭიროთ გერმანიის წინადადებებს.

ლოზანას კონფერენცია

პარიზი 8 მაისი. მოკავშირეებმა მიმართეს ისმეტ-ფაშას ნოტით, რომელშიაც მოითხოვენ განმარტებებს იმ კონფისკაციების და ჩხრეკის შესახებ რომელსაც ადგილი ჰქონდა უცხოეთის ბანკებში სტამბოლში.

პარიზი 8 მაისი. ოსმალეთის დელეგაცია მოითხოვს იმ გემების დაბრუნებას, რომლებიც ხელთ იგდეს ბერძნებმა დროებითი ზავის შემდეგ.

ლოზანა 8 მაისი. ეკონომიური კომისიის სხდომაზე პელლემ განაცხადა, რომ ხელშეკრულება არ შელახავს ოსმალეთის ვალის ობლიგაციების კერძო მესაკუთრეების უფლებებს და ამის გამო საკითხი ოქროთ გადახდის შესახებ განხილული იქნება ზავზე ხელის მოწერის შემდეგ.

რადგანაც ეს გადაწყვეტილება არ არის ხელსაყრელი ოსმალეთისათვის, ისმეტ-ფაშა დაჟინებით მოითხოვს, რომ ოსმალეთის ვალდებულებანი სისწორით იქნეს გამორკვეული ზავის ჩამოგდებამდე. საკითხი გადაეცა განსახილველად ექსპერტებს.

ლოზანა 8 მაისი. საკითხი უცხოელებისათვის ოსმალეთში სასამართლოს რეჟიმის შესახებ ატარებდა კერძო მოლაპარაკების ხასიათს მოკავშირეთა დელეგაციების წარმომადგენლებს შორის, რის შემდეგაც რუმბოლდს თათბირი ჰქონდა ისმეტ-ფაშასთან.

ლოზანა 7 მაისი. მოკავშირეებმა ჯერ კიდევ ვერ გადასწყვიტეს როგორ გასცენ პასუხი ვოროვსკის გამოსვლას. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მოკავშირეები განუცხადებენ შვეიცარიის მთავრობას იმის შესახებ, რომ ვოროვსკი არ არის ოფიციალური წარმომადგენელი კონფერენციაზე. ამით მტკიცდება დაუშვებელი მოქმედება მოკავშირეების რომლებიც არ უშვებენ რუსეთს კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად, თუ ის არ მოაწერს ხელს მოკავშირეების პროექტს სრუტეების შესახებ.

ლოზანა 7 მაისი. ზოგიერთი გაზეთების ცნობით მოკავშირეები მზად არიან წავიდენ დათმობაზე.

გერმანია და ანტანტა.

პარიზი. 8 მასი. „ტანი“ ეკამათება რა ინგლისის პრესის ნაწილს რომელიც ჰკიცხავს საფრანგეთის გერმანიის მიმართ დამოუკიდებლად მოქმედების გამო, აღნიშნავს, რომ ინგლისიც აძლევდა თავის-თავს ნებას დამოუკიდებელ გამოსვლებისათვის, როდესაც ეს მისთვის ხელსაყრელი იყო. მაგალითად, ინგლისმა არ გაუწია რა ანგარიში მოკავშირეების აზრს თავის დროზე, გაანთავისუფლა ქონების ჩამორთმევისაგან ინგლისში გერმანელი მოქალაქეები.

ბერლინი. გერმანიის კაბინეტის მდგომარეობა განმტკიცდა, მას მხარს უჭერს სტინესის ცენტრალური (ბერლინის) და პროვინციის პრესა, რომელიც დარწმუნებულია, რომ კუნო გაილაშქრებს საფრანგეთ-ბელგიის ნოტის წინააღმდეგ და მოითხოვს რურის დაცვის გაძლიერებას.

ლონდონი. 9 მაისი. მიკდონალდის შეკითხვაზე გერმანიის წინადადების შესახებ, ბალდუინმა განაცხადა რომ ინგლისი მწუხარებას გამოსთქვამს, საფრანგეთის „აჩქარების“ გამო და განზრახვა აქვს დაუყონებლივ გამოვიდეს საკუთარი მოსაზრებით. ბალდუინმა გამოსთქვა აზრი, რომ ასეთივე ნაბიჯს გადადგამს იტალიის მთავრობაც.

ლონდონი. 8 მაისი. ეხება რა ინგლისის ნოტას, რომელიც უნდა გაუგზავნოს რუსეთს „დეილი ტელეგრაფი“ ადარებს მას 1914 წლის ივლისში ავსტრიის მიერ სერბიისათვის გაგზავნილ ნოტას.

„დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „ურთიერთობის გაწყვეტა არ არის ინგლისის პოლიტიკის მიზანი, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ ინგლისის მოთხოვნილების არ დაკმაყოფილება ინგლისის ქვეშევრდომთა კომპენსაციის შესახებ, გამოიწვევს აუცილებელ შედეგებს. „დეილი ექსპრესი“ სასტიკად ილაქრებს რუსეთთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ასეთი ნაბიჯი დიდი უაზრობა იქნებოდაო.

ბერლინი. 10 მაისი. „ტაიმსი“ საფრანგეთ-ბელგიის ნოტის სეპარატიულად გაგზავნას „დიდ პოლიტიკურ შეცდომათ“ თვლის და აღნიშნავს, რომ ეს გარემოება მოქმედების უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს.

ინგლისის პოზიცია.

ლონდონი. 8 მაისი ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ხვალ კერზონი თემთა პალატაში გამოვა სიტყვით გერმანიის ახალი წინადადების და ამ წინადადებაზე საფრანგეთ-ბელგიის სასუხის შესახებ. ილაპარაკებს ბალდვინი. გერმანიის წინადადებებს ალბათ არადამაკმაყოფილებლათ ჩათვლიან, მაგრამ ინგლისის მთავრობა შესაძლებლათ ჩათვლის საშვალება მისცეს გერმანიას გამოვიდეს ახალი მისაღების წინადადებით.

ლონდონი. 9 მაისი. ინგლისის პოლიტიკური წრეები მთავრობის მიერ საბჭოთა მთავრობისათვის გაგზავნილ ნოტას გარეცებით შეხვდენ. საზოგადოებრივი წრეები თავს იჭერენ რაიმე კომენტარიებისაგან და უცდიან რუსეთის პასუხს. ინგლისის სავაჭრო წრეებს არ სურთ საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა.

საბჭოთა რუსეთის ცნობის გარშემო.

ტოკიო. 7 მაისი. ტოკიოში გაიმართა მუშების გრანდიოზული მიტინგი, რომელზედაც მოითხოვდენ საბჭოთა რუსეთის ცნობას. ასეთივე მიტინგი გამართა ოსაკაში მუშათა ორგანიზაციებმა.

ქრისტიანია. 8 მაისი. ნორვეგიის სტორტინგში კომუნისტებმა ოლაფ შეფლემ და ეგედენისენმა აღძრეს საკითხი საბჭოთა რუსეთის დე-იურეთ ცნობის შესახებ. პირდაპირ შეკითხვაზე თუ რა გააკეთა მთავრობამ ამ მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრმა შეფელემ განაცხადა, რომ საკითხი რუსეთის ცნობის შესახებ განხილული იქნება. კომუნისტების წინადადებას მხარი დაუჭირა იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა მოვინკულმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამ ცნობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. კონსერვატორებმა ამ დღეს თავი დაიჭირეს რუსეთის წინააღმდეგ ჩვეულებრივ გალაშქრებისაგან. წინადადება რუსეთში წარმომადგენლობის ხარჯების დასაფარავად სტორტინგმა ერთხმად მიიღო.

სტოკჰოლმი. 8 მაისი. „სოციალ-დემოკრატენი“ მოითხოვს რუსეთთან კავშირის მოწესრიგებას. ლევგლენმა გოტებორში ბირჟის საზოგადოების სხდომაზე გააკეთა მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ლევგნენმა განაცხადა, რომ რუსეთთან კავშირის განახლება მეტად ხელსაყრელი და სასარგებლოა შვეციისათვის.

კოპენჰაგენი. 6 მაისი. დანიის მსხვილი სამრეწველო ფირმების საბჭომ წინადადება მისცა ყველა იმ ფირმებს, რომელთაც აინტერესებთ რუსეთთან ურთიერთობის განახლება, გაგზავნონ მოსკოვსა და პეტროგრადში ინჟინერი ლანგე რუსეთის საგარეო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საკითხის გამოსარკვევად.

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთს.

ლონდონი. 8 მაისი. ინგლისის მუშათა პარტია კვირას ლონდონის ცენტრში აწყობს გრანდიოზულ დემონსტრაციას, რომლის ლოზუნგია: „მუშების სოლიდარობის დაცვა და საბჭოთა რუსეთის უსათუო ცნობა. ინგლისის კომპარტია ქალაქის სხვა რაიონებში ამ დღეს მოაწყობს მთელ რიგ მიტინგებს.

ინგლისის მემორანდუმი საბჭოთა რუსეთს

მოსკოვი. 12 მაისი. 8 მაისს ბრიტანეთის აგენტმა მოსკოვში ხოდჟონმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილეს ამხ. ლიტვინოვს გადასცა დიდი ბრიტანეთის მემორანდუმი. ამ დიდ მემორანდუმში, რომელიც 26 მუხლისაგან შესდგება, ინგლისი ამტყუნებს საბჭოთა მთავრობას იმ ვალდებულების დარღვევაში, რომელიც მიიღო საბჭოთა მთავრობამ სავაჭრო ხელშეკრულების მოწერის დროს სახელდობრ: ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული საწინააღმდეგო მოქმედებისა და პროპაგანდისაგან თავის შეკავებაში.

ნოტა დაწვრილებით აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის ანტი-ბრიტანული პროპაგანდას, რომელსაც თითქოს ადგილი ჰქონდა სპარსეთში, ავღანისტანში და ინდოეთის მოსაზღვრე ოლქში და ამტყუნებს თეგერანისა და ბაბულის რუსეთის წარმომადგენლებს ინდოეთის რევოლიუციონერებისათვის ფულითა და იარაღით დახმარებაში, აგრეთვე მათ ხელმძღვანელობათა და აგიტატორობის გაგზავნაში, რომელთაც მომზადება მესამე ინტერნაციონალის სკოლებში მიიღეს.

ნოტის აზრით ასეთივე აქტებს ადგილი ჰქონდა ეგვიპტის და ოსმალეთის ბრიტანეთის ადგილებში და თვით დიდ ბრიტანეთშიაც. ნოტა პასუხის მგებელს ხდის საბჭოთა მთავრობას იმ ფულით დახმარებაში, რომელიც კომინტერნმა უკანასკნელ კონგრესზე აღმოუჩინა ბრიტანეთის კომპარტიას და 120,000 გ. სტერლინგით ინდოეთის კომპარტიას. ნოტა მოითხოვს ასეთ მოქმედებაზე ხელის აღებას და ბოდიშის მოხდას და აგრეთვე იმ მოხელეების დათხოვნას, რომელნიც ამაში პასუხისმგებელი არიან.

შემდეგ მუხლებში ნოტა ეხება იმ ძალადობას ბრიტანეთის მოქალაქეებზე, რომელსაც თითქოს ადგილი ჰქონია რუსეთში; ნოტა აღნიშნავს სასამართლოს გადაწყვეტილებით 1920 წ. დევისონის დახვრეტას და ამავე წლის ზაფხულში ქ-ნ გარდინგის ციხეში დამწყვდევას. ნოტაში ინგლისი მოითხოვს ამ ქალისათვის და დევისონის ქვრივისათვის კომპენსაციის გადახდას, შემდეგ ნოტა ამტყუნებს საბჭოთა მთავრობას 1922 წ. მურმანის ნაპირებზე ორ ინგლისელ ტრალლერის თითქოს უკანონო დაჭერაში აგრეთვე ამავე წლის მარტში მესამე ტრალლერის დაჭერაში. ნოტა მოითხოვს ტრალლერების და მისი საკომანდო შემადგენლობის განთავისუფლებას, შესაფერ კომპენსაციის გადახდას და აგრეთვე დაპირებას იმაში, რომ ბრიტანულ თევზისმჭერ გემებს წინააღმდეგობას არ გაუწევენ 3 მილიან ხაზის გარეთ. შემდეგ ნოტა აღნიშნავს სასულიერო პირების დევნას რუსეთში, რომელთაც მაღალი პოსტები უჭირავთ მართმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებში, ყოველგვარ რელიგიის მოსპობისა და მისი ულმერთობის შეცვლის მიზნით. ნოტა ინგლისის ცეპლიაკის და ბუდკევიჩის საქმეში ჩარევას კანონიერათ სთვლის, რადგან ამ საქმემ „საშინელი აღშფოთება და შიში გამოიწვია მთელ განათლებულ კაცობრიობაში“, საბჭოთა მთავრობის პასუხს განსაკუთრებით მის გამოქვეყნებას ნოტა შეურაცყოფათ სთვლის ინგლისისათვის და მოითხოვს გარკვეულათ ორი ნოტის უკან წაღებას. ინგლისის მთავრობას, ამბობს ნოტა, არ აქვს არც სურვილი და არც განზრახვა რომელიმე აქ ჩამოთვლილ საკითხების შესახებ ხანგრძლივ და, შეიძლება, უსიამოვნო დავაში ჩაერიოს; თუ ადრე დღეს განმავლობაში მემორანდუმის მიღებიდან საბჭოთა მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარიატი ინ. მთავრობის თავის თავზე მემორანდუმის მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას, ნიშნად ინგლისის მთავრობა იფიქრებს, რომ საბჭოთა მხარეობამ სრულიად არ სურს არსებულ დამოკიდებულებების შენარჩუნება. ამ შემთხვევაში ინგლისის მთავრობა, საბჭოთა მთავრობის მიერ სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევის გამო, თავისუფლად ჩასთვლის თავის იმ ვალდებულებათაგან, რომელსაც ხელშეკრულება აიძულებს მას.

ახალი ამბები

— დღეს, 13 მაისს, საღამოს 7 საათზე, ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) შესდგება **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგი კრება. მოხსენებებს წაიკითხავენ: 1. პროფ. **დიმ. უზნაძე** „სახელდების ფსიქოლოგია“ და 2. პროფ. **აკ. შანიძე** „პროფ. ალ. ცაგარლის სამეცნიერო მოღვაწეობა“. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **საქართველოს პედაგოგიური დელეგაცია მოსკოვში.** განათლების მუშაკთა კავშირის მიერ მოსკოვში გაგზავნილი დელეგაცია უკვე დაბრუნდა. დელეგაციას მიზნად ჰქონდა პედაგოგიურ მუშაობის გაცნობა რ. ს. ს. ფ. რ. სატახტო ქალაქში. დელეგაციაში შედიოდა 17 წარმომადგენელი სხვა და სხვა პროვინციებისა და ტფილისის სკოლებიდან და აღმზრდელ დაწესებულებათაგან. ორი კვირის განმავლობაში დელეგაცია ეცნობოდა იქაურ სკოლებს, საბავშო ბაღებს და სახლებს, პედაგოგიურ ინსტიტუტებს, სამეცნიერო გამოკვლევათა დაწესებულებებს, საბავშო კლუბებს და სხვათ. 15 ამა მაისიდან დაიწყება, განათლების მუშაკთა სასახლეში (კოლოუბნის—3) დელეგაციის წევრთა შთაბეჭდილებების გაზიარება.

— **ცენტრ. წ.-არმ. კლუბი.** მომავალ ზაფხულის სეზონისათვის კლუბში ლოტო აღარ იქნება. განზრახულია ლოტოს უარყოფისა და ბაღის კერძო პირებისგან ტეატრალური კოლექტივების ექსპლოატაციის შემცირების ანგარიშში, გააფართოოს საკლუბო და საპოლიტიკო საგანმანათლებელო მუშაობა ჯარისათვის.

მუშაკთა სხივრება

მუშა-მოსამსახურეთა საქმე ხელფასის მხრივ ზოგიერთ დაწესებულებებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული, რასაც უეჭველად მაეთი ყურადღება და დაკვირვება ესაჭიროება!

არის ისეთი დაწესებულება (მაგ. სტატისტიკის სამმართველო და სხვა), სადაც საშუალო ხარისხის თანამშრომელს ჯერ ისევ თვიურად 5—6 მილიონი მან. ეძლევა; შიკრიკებსა და დარაჯებს კი 3—4 მილიონი და ზოგ შემთხვევაში ნაკლებიც!. რომელი თავზე ხელ აღებული იტყვის, რომ 5—6 მილიონით ცხოვრება შეიძლებოდეს.

არის მაგალითი: დილის სამუშაოს სასყიდლით, რომ ყოველად შეუძლებელი ხდება არსებობა—თანამშრომელი იძულებული ხდება საღამოს სამუშაოც გაიჩინოს. მაგრამ სამწუხაროა ის გარემოება, რომ ხშირად ორი სამსახურიც (საშუალოდ 15—16 მილ.) მუშაკს ვერ აკმაყოფილებს. მეტად ძნელია: დილით 7—8 საათს, საღამოთი კიდევ 4—5 საათს მუშაობა... ტვინი იქანცება, მუხლში იკვეთება.

აშარგადი.

მეცნიერება და ტექნიკა

ბაქტერიოლოგების და ეპიდემიოლოგების ყრილობა.

ამა წლის მაისის 22-ს მოსკოვში შესდგება სრულიად რუსეთის ბაქტერიოლოგებისა და ეპიდემიოლოგების ყრილობა.

ნიჟეგოროდის რადიო ლაბორატორია

ეს ლაბარატორია დაარსებულია 1918 წელს. ამ დაწესებულების იდეა არის წმიდა—ტეხნიკურ მიმართულებასთან ერთად მეცნიერული გამოკვლევების წარმოება და აგრედვე წარმოებითი მიზნებიც. ამ ლაბორატორიის უფროსი მუშაკები არიან პროფესორი ვოლოგდინი, პროფ. ბონჩობრუევიჩ და ინჟ. შორინი.

დაღლილობის შესწავლა.

რუსეთის ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში აკადემიკოსი პ. ლაზარევის ხელმძღვანელობი

ტოფან

I

შანის ბეჭდებით შეშლილ ნეკიდან
გადმოვანთხიე სისხლი ზღვაურად,
მთვარის ფეხებზე მზე დაეკიდა
და პიანინომ გაიხმაურა.
როდესაც ცეცხლი აფორიაქდა
ბნელეთში დასწვა შავი მაყალი,
მაშინ გეტერამ გიე კონიაკთან
წამოაქცია სავსე ბაკალი.
ქარმა ჩაშალა დრამა ქუჩების
და მათხოვრები გათბენ თბილი მზით.
მე მიხარია ვერ დამაყუჩებთ
თუ გადავარდი ცეცხლში თბილისით.

II

„მსოფლიო გადააქვთ მეოცე ღერძზეო“,
მთვარეზე სისხლი დულს, დაახრჩვეს მედუზა.
მზეობა უმზეო, უმზეოდ ვერ მზეობს;
და მიწის კივილი ყურს ამოეტუზა.
სარკეში გადატყდა მზე ნაყაჩაღარი
და სახე ჭაღარა დაეწვა დგანდგარით.
უცეცხლო ქვეყანა მან ცეცხლში ჩაჰყარა
და მოდის ტოფანი ოც ფეხზე დამდგარი.
მტკვარით და მეტეხით იკივლებს ბეთხოვენ
და თვალზე გასკდება ცრემლი გუმბათობით...
წუთს წუთად ამოვსჭრი, ცას გამოვეთხოვე,
როს ცეცხლში ჩავარდა ყოველი მნათობი.
არ მოდის ცრემლები დღეს ქალის ფეხივით
დასუსტდნენ ზამთრები და უმარტობანი;
თვითეულ ძახილზე ხმა ისმის მეხივით:—
ტოფანთან ტოფანით ტოფანზე ტოფანი.

პიერ კობახიძე

ოგოლი

ძვირფასი დედის სამარადისო ხსოვნას.

ცხელი დარია... მე მაინც მცივა...
გული მკვდარია და სული ცივი.
ცრემლების ძივი თვალებს მოსცვივა,
თვალებს მოსცვივა ცრემლების ძივი.
დედი, შენ წადი და დამაგლოვე,
საფლავში ჩადი მარად ბინაში;
მწარე კოცნაში გამომეთხოვე
მარტო დაგტოვე შავბნელ მიწაში.
ყოველ საღამოს, რომ შემომქმედი
ტკბილს და საამოს დარეკავს ზარებს;
გულს შემიზარებს მე ჩემი ბედი,
მე ჩემი ბედი გულს შემიზარებს.
მეცემა ელდა... არ სჩანხარ შენა...
დაცარიელდა ეზო და ბაღი...
არა ვარ საღი... გაქვავდა ენა...
წავიდა ლხენა... დამედო დაღი.
ყოფნა მომწყინდა... ზარი მაგონებს
„სტეფანე წმინდა“ შენს ნათელ სახეს;
მე მოცახცახეს მწარედ მაღონებს,
მწარედ მაღონებს მე მოცახცახეს.
არ დაშრა ცრემლი... არ დაცხრა გული,
დავადნე გრდემლი ბედის გამჭედი.
როგორც აბედი, მე დავწვი სული
დღეს წამებული, ოდესმე ყმედი...
ღამით სიზმარში—თუ მეძინება,
მომესმის მარში სამგლოვიარო.
სადაც ვიარო დამდევს ჩვენება
შენი ჩვენება სადაც ვიარო.
ო, დედი, დედი... შენ გძინავს წყნარად
შარავანდედი თავს გეფინება;
შენ გეძინება ასე სულ მარად
ცრემლები ცვარად დამედინება.
იყოს მსუბუქი შენთვის საფლავი
სადაც მზის შუქი არ ჩამოგწვდება;
ცაზე მოსწყდება შენი ვარსკვლავი,
შენი ვარსკვლავი ცაზე მოსწყდება.
წმინდა ედემი ბინაა შენი
ეს არის ჩემი ტკბილი ნუგეში,
ცრემლის გუბეში მიდიან დღენი,
მიდიან დღენი ცრემლის გუბეში.

ი. ხინველი.

ძახილი ღამეში.

ეზოს ჭიშკრიდან ვიღაც იძახის:
მგონი მოგზაურს გზა დაეკარგა;
ძახილს თან აყვა ურმული ძაღლის.
ვიღაც იძახის, არ მესმის კარგათ.
სთოვს... ქოხს ახურავს თოვლის ნაბადი,
ღამე ბნელია... ოთახშიც ცივა;
მსუბუქი თოვლი მიდამოს ჰბარდნის,
თოვლის ფოთლები ფანჯრებში ცვივა!
ვერ ვაღებ კარებს, ვერ ვაღებ კარებს,
თუმც კარში გასვლა მინდა მრავალჯერ.
თითქოს ოთახში არის საკანი
და გარედ ღამე—მის მოდარაჯე!
მგზავრი იძახის... იცის აქა ვარ,
კარში ვერ გავალ, არ ვიცი რატომ.
ცოდვით დატვირთულ ტუსაღსა ვგავარ
ოთახში მყოფი,—ოთახში მარტო!
ყურში ჩამწივის ძახილი ისევ,
დაჭრილი ხმები გრძნობაში ჭკვესავს;
ყურში ჩამწივის ძახილი ისე,
ვით მშობიარე ქალისა კვნესა!
მოკვდა ძახილი ღამის თვალებში,—
მსხვერპლისთვის თოვლი—თეთრი ლოდია,
მიწყდა ჭიშკრისკენ ძაღლის თარეში,
ძაღლის ურმული და მელოდია!
ვერვინ უშველა ბედით დაჩაგრულს,
მისი ხმა მხოლოდ ხსოვნად დარჩა გულს,
ქარმა წაიღო მისი ვარამი!
კვლავ დარწმუნდება ღამე ფრაზები;
ზევიდან თოვლიც მოვა გუნდებათ,
ძაღლს გააქავრებს მთვარე ბრაზებით.
ო, ის ძახილიც მომაგონდება!

ა. მირცხულავა.

სიზმარეთიდან

(5 საათი. საღამო)

— ხა, ხა, ხა!—გადიკისკისა. ასე გონია ლამაზ ვაჟმა გადაიარა ლეკურით დარბაზი.

— ხი, ხი, ხი!—ჩუმად კუთხეებში ჩაიხითხითეს, მოკაუჭებულ ცხვირებით ჭინკებმა და გაჩუმდენ.

— ხო, ხო, ხო!—ასე გონია რაღაც მოდის, რაღაც გაწვება—ხო, ხო,—ფალშია. ღარუნებს ყურში...

და... მაგრად იკრავ გულში, მიიწევ დასატკბობად, ამღვრეული თვალებით.

— ხა, ხა, ხა, ხა!—ნელად ჰკისკისებს.

კატასავით სჭიმავს თითებს. ხელებს გულს გაყრდნობს. ნაცრისფერი თვალებით შენ შექცქერის, ცივი ალერსით გხიბლავს. არ გიშვებს ახლოს.

— ხა, ხა, ხა, ხა!—იცინის, იცინის...

— ხი, ხი, ხი, ხი!—ხითხითებენ, ხითხითებენ...

— ხო, ხო, ხო!—ხარხარებს.

. . . . . .

უცებ ავარდება, ჩაიკეცება ხალიჩაზე... ბუნებანახევრად... ბუნება მთლად ჩნდება... ნაცრისფერი თვალები. შავი წნეული, ტოფანის ხელები, ფეხები?—ვერ ვიტყვი—ტანი უნაზესი, მისი რხევა მუსიკას აჩლუნგებს...

მოკუმშული ზიხარ და უყურებ.

ასწია ხელები და ნელის რხევით შენკენ მოდის—გეშინია...

თვალები ნაცრისფერი.

აცეკვდა, აცეკვდა, ტრიალებს, ირევა ხელები, ფეხები, ტანი, ნაწნავი...

გაჩერდა, ჭკანკალებს. ნესტოებს ჰბერავს.

მონა ხარ.

თითები გძელი, ფიანას ფრჩხილებით, ჩაგწვდენ შენ და... ტანიდან იღვრება ბროწეულის წვენი...

გიჟდები...

— ხი, ხი, ხი!—შესდექით.

— ხო, ხო, ხო, ხო!—შესდექით.

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!—შესდექ-

კისკისებს. . . . . .

თენდება. თავს მაღლა სწევ. გათავდა.

— ტოფან—ანთებული მძლავრი ეშმაკი.

ტოფან.

დიომედე ანთაძე.

„პოეზიით მთვრალნი“

საქართველოში ხალხი ერთნაირად ეტანება ღვინოსაც და პოეზიასაც: დღეს, როდესაც ღვინი მეტად გაძვირდა და ღვინით სიმთვრალემ იკლო, საქართველოს დედა ქალაქში, ტფილისში, პოეზიით მთვრალს უფრო მეტს შეჰხვდებით, ვიდრე ღვინით... პოეტობამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო და ტფილისი ამ ეპიდემიის ბუდეთ გადაიქცა, ე. ი. პოეტების ქალაქად. ასეთი არა ჩვეულებრივი მოვლენა, რასაკვირველია, ნორმალურად ვერ ჩაითვლება და ნურავინ ნუ გამიწყრება, თუ მე ავლნიშნავ მას ღირსეულად სიმართლის და წონასწორო-

სწარმოებს გამოკვლევა ცენტრალურ ნერვიული სისტემის დაღლილობისა გარეგანი ზედმოქმედების გავლენით. უკვე შესწავლილი არის თვალის დაქანცვა, რომელმაც საინტერესო შედეგი მოგვცა. ამ ჟამათ ლაბორატორია იწყებს მუშაობას სხვა ორგანოების დაღლილობის შესასწავლად.

ჩვენი ატმოსფერის შესახებ.

ჰაერის შემადგენლობა სხვა და სხვაგვარია სიმაღლის მიხედვით. ქგვეით 11 კილომეტრამდი, უმთავრესად აზოტი და მეავბადია, უფრო მძიმე გაზები; ამის ზევით მეტია აზოტი, ხოლო მეავბადი ნაკლები; ამის ზევით არის წყალბადის ატმოსფერა 240 კილომეტრამდი; ამის ზევითაც არის ატმოსფერა. აქ ჰაერი, როგორც სპექტრალური ანალიზი გვიჩვენებს, რაღაც განსაკუთრებული გაზიდან შესდგება, რომელიც წყალბადზე უფრო მჩატეა. წყალბადის ატმოსფერაში ჩვენ ვამჩნევთ ე. წ. მეტეორიტებს, რომლებიც შესდგებიან წმიდა რკინისა და ნიკელიდან და წონით სულ რამოდენიმე გრამში არიან. ისინი ჩნდებიან უმთავრესად 180 კილომეტრის სიმაღლეზე და ქრებიან 80 კილ. სიმაღლეზე. უფრო მსხვილი მეტეორიტები აფეთქდებიან ჩვეულებრივ 20 კილომეტრის სიმაღლეზე.

კვირას, მაისის 13, დღის 12 საათზედ

პარტიულ კლუბში (ლორის-მელ. № 1) დანიშნულია

პ. ჯანიშვილის

მოხსენება

მარქსიზმის გამოცდა რუსეთის რევოლუციაში.

დასწრება შეუძლია თანამგრძნობთაც წევრის რეკომენდაციით.

საბჭომ მსჯელობა უნდა იქონიოს

ქალაქის საბჭოს პლენუმის წასული სხდომის მოწვევისთვის პრეზიდიუმის განცხადებებში სხვათა შორის ნათქვამი იყო:—„იმ წევრთა შესახებ, რომელნიც არ გამოცხადდებიან სხდომაზე, საბჭოს ცალკე ექნება მსჯელობაო!

როდესაც არა ნორმალური მდგომარეობა ისადგურებს ამა თუ იმ ორგანოში და თუ გნებავთ ისეთ ორგანოში, როგორიც არის ქალაქის საბჭო, ასეთ შემთხვევებში პლენუმმა არა თუ მარტო მსჯელობა უნდა იქონიოს დეპუტატზე, რომელიც სისტემატიურად აკლდება საბჭოს სხდომებს, არამედ იგი სასტიკადაც უნდა დატუქსოს, რადგანაც საქმისადმი გულგრილი დეპუტატი ღალატობს მოვალეობას და არ აფასებს ხალხის ნდობას.

მაგრამ ჩვენ გვინდა საბჭოს პრეზიდიუმს ერთ მეტად არა ნორმალურ მოვლენაზე მიუთითოთ:

განსაკუთრებით ბოლო ხანებში საბჭოს სხდომაზე თავი იჩინა ერთგვარმა „დავამ“ იმის შესახებ, რომ მოხსენებები გაკეთდეს რუსულ ენაზე, თუ ქართულად და ასეთ შემთხვევებში რუსულიდან ქართულად გადაითარგმნოს, თუ ქართულიდან რუსულად. და ბოლოს საქმე იქამდის მიდის ხოლმე, რომ „ბალატიროვკაზე“ აყენებენ ქართული ენის დაშვების საკითხს. ორივე მხარეს დამცველები, რასაკვირველია, ყოველთვისა ჰყავს მაგრამ ეს კიდევ არაფერია.

ქართველები საზოგადოდ ძალიან ლოიალური ხალხი ვართ, გვიყვარს ბევრი კომპრომისების დაშვება, მაგრამ ქართველებს დიდი თავმოყვარეობაცა გვაქვს და ვფიქრობთ როდესაც ის ილახება, საჭირო ხდება მისი დაცვა.

თუ გადაწყდა, რომ მოხსენება ქართულად გაკეთდეს და ლაპარაკობს კიდეც მომხსენებელი, ამ დროს დარბაზიდან დგებიან არა ქართველი ელემენტები და სტოვებენ დარბაზს.

ჩვენ რომ ასე მოვიქცეთ **შოვინისტების** და **ნაციონალისტების** სახელს დავიმსახურებდით და ეს მაშინ, როდესაც მსგავსი საქციელისთვის სხვები „ინტერნაციონალს“ ეფარებიან.

დღეს კი სამწუხაროდ ასე გამოდის, რომ ქართულად მხოლოდ ოჯახში უნდა ვილაპარაკოთ...

თუ კი საბჭოს წევრთა დიდმა უმრავლესობამ იცის ქართული ენა, მაშ რაღაშია დაბრკოლება? რატომ იწვევს ხოლმე დავას ქართული ენის გატარების დროს?

თუ ჩვენ საკითხს სამართლიანობის საზომით მიუდგებით, გამოვა, რომ ჩვენ კი არ უნდა **გადმოგვითარგმნონ**, არამედ **სხვებს**, ვინაიდან ქართული ენის მცოდნენი უმრავლესობას შეადგენენ და ქართული ენა სახელმწიფო ენაა.

ეს ანბანური ჭეშმარიტება დღესავით ნათელი ფაქტია; საბჭოში **ქართული ენის შემოღება** არავითარ დაბრკოლებას არ უნდა იწვევდეს და ვისაც ეს არ ესმის, ან არ უნდა რომ გაიგოს, ამისათვის საჭირია, რომ საბჭომ ან მისმა პრეზიდიუმმა ისე, როგორც უმიზეზოდ დაუსწრებელ დეპუტატზე, მსჯელობა იქონიოს, ჩაგონოს ვისაც არ ესმის და ერთხელ და სამუდამოდ გაუგებრობას ფარდაც ახადოს და ბოლოც მოუღოს.

თორემ ამა მიბრძანეთ, სად არის პატივისცემა ერისადმი, როდესაც საქართველოში, საქართველოს დედა ქალაქის უმაღლეს ორგანოში ქართული ენის **გადათარგმნის** საკითხი ბალატიროვკაზე ისმება?

ჭეშმარიტად მართალი იყო ძველი კომუნისტი, ამხ. ნესტორ ცერცვაძე, რომელმაც საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე სთქვა:—„ჩვენ მაზრა და ქალაქი უმთავრესად იმიტომ დაუახლოვეთ ერთი-მეორეს, რომ ქალაქმა უნდა გაიგოს თუ რას აკეთებს სოფელი და **სოფელმა კი უნდა გაიგოს თუ რას აკეთებს ქალაქი**; ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამხ. ნ. ცერცვაძის ნათქვამს და გვინდა ვიკითხოთ: მაზრის წარმომადგენლები ფორმის გულისათვის გვისხედან საბჭოს სხდომაზე ხოლმე თუ მართლა იმიტომ, რომ სოფელმა გაიგოს რამე?

რაც შეეხება ქართული ენის არ მცოდნეთათვის, მათთვის გადათარგმნის საკითხი ჩვენთვის **უდავო დებულებაა**.

ასეა თუ ისე, გაუგებრობას ჯერ-ჯერობით ალაგი აქვს საბჭოში ენის საკითხს და ამისათვის საჭიროა:

მსჯელობა იქონიოს საბჭომ.

საბჭოს წევრი დ. მ—ლი.

მეტი შეგნებით.

(სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს).

ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება თვით ჩვენზედ, მუშა-მოსამსახურეებზედ არის დამოკიდებული. ამისათვის ყოველივე ჩვენი ფეხის გადადგმა უნდა იქმნას წინასწარ გასინჯული, თუ რამდენათ ესა თუ ის ჩვენი მოქმედება ხელს უწყობს, ამტკიცებს რევოლიუციას.

რამდენათ საღია სახელმწიფოებრივი აპარატი, მით მეტია მისი ავტორიტეტი ხალხში. ეს აქსიომაა და ყველასათვის უდავო ჭეშმარიტებას შეადგენს. და აი სწორეთ ამისათვის მუშა-მოსამსახურეები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, როგორც საქმისადმი კეთილსინდისიერათ მოპყრობაში, ისე ყველა იმ პირებთა თავის დროზედ გასტუმრებაში, რომელთაც უხდებათ რაიმე ცნობების მიღება დაწესებულებიდან.

არა ერთხელ მინახავს დაწესებულებაში სოფლიდან ჩამოსული გლეხი, რომელსაც სურს რაიმე ცნობის მიღება, მაგრამ ზოგი „პატიოსანი“ მოხელე თითქმის ორი სამი დღე (და ზოგჯერ მეტსაც) აცდევინებს საწყალ გლეხს, რითაც გულს უტეხს მთავრობაზე და მით საბაბს აძლევს კონტრრევოლიუციონერ ბანაკს, რომელიც [illegible] მთავრობას, ისარგებლოს მით და უთხრას გლეხს: „აი თქვენი მუშურ-გლეხური [illegible]“.

სიტყვით ყველაფერს გპირდებიან, მაგრამ საქმეზე რომ მიხვალ, შენისთანებს არ კადრულობენ და უბრალო ცნობისათვის რამოდენიმე დღეობით სოფლიდან ჩამოსულ ადამიანს გაცდევინებენო. დიახ, ეს მართალია.. ასეთ მაგალითს ჰქონდა ადგილი ერთი კვირის წინ სასამართლოში, სადაც იმედ დაკარგული გლეხი სასამართლოდან ქუჩაში გამოდის— „სულ ერთია ცნობის მიღებას ვერ ვეღირსები, აგერ სამი დღეა სასამართლოს კარებთან ვარ“—სთქვა და გზასაც გაუდგა.....

გლეხი საცოდავი და მორჩილია ქალაქში. ამისათვის ყველა პატიოსანი მოხელე, რომელიც მსახურობს დაწესებულებაში—ვალდებულია ყოველი ღონე იხმაროს, რომ სოფლიდან ჩამოსულ გლეხს თუ აცდევინებს, მისცეს სწორი და თავდაბალი პასუხი. ამით მათ შეაყვარებს ქალაქს და დაუახლოვებს მას, რაც დიდი სასარგებლოა საერთო მასშტაბით რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

ამიტომ ყველამ, ვისაც სწამს თავისუფლება და რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება, ყურადღება მიაქციოს მშრომელი მასსას—განსაკუთრებით გლეხობას, რომლის ქალაქთან დაახლოვება და უკანასნელის შეყვარება ერთი თავდებთაგანია თავისუფლების და რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

მეტი დაკვირვება საქმისადმი, მეტი შეგნება და გათვალისწინება თავის მოვალეობისა, რადგან ყველა ჩვენთაგანი ემსახურება არა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რომლის მიზანია მშრომელთა დაბეჩავება, არამედ სოციალისტურ სახელმწიფოს, რომლის საზრუნავი საგანია მთელი მშრომელი ხალხის განთავისუფლება და რომლის განმტკიცება—განხორციელება დამოკიდებულია ჩვენზედაც, როგორც სახელმწიფო აპარატის მშენებლებზე.

შალ. ჭილაძე

ბრიჯანიკიაში

პირველი მაისი დ. ჩოხატაურში. წელს ჩოხატაურმა არაჩვეულებრივი ზეიმით იდღესასწაულა მუშათა კლასის დიდებული დღე—პირველი მაისი.

საუცხოვო დილაა; თითქო ბუნებაც კი შეხარის ასეთ საზეიმო დღეს და მონაწილეობას ღებულობს საყოველთაო ზეიმში. მთელი დაბა შემკულია წითელი დროშებით და ცოცხალი ყვავილებით. დილიდანვე დაბას დიდძალი საზოგადოება აწყდება სხვა და სხვა სოფლებიდან; მოდიან სიმღერით, წითელ დროშებით და ყვავილებით. საათის პირველზე მიტინგის ადგილზე თავს იყრის ადგილობრივი ტეხნიკუმის მოწაფეები, ადგილობრივი შრომის სკოლა და ბუკის ციხის შრომის სკოლის მოწაფეები. საუცხოვო სანახავია მოსწავლე ახალგაზრდობა ჩამწკრივებული და სამხედრო წესრიგით. სამივე სასწავლებლის მოწაფეობა ჩაიარს დაბას; ისმის მათი გუგუნი და ისევ ბრუნდებიან მიტინგის ადგილზე, სადაც იჭერენ მათთვის მიჩნეულ ადგილს. საშინელებაა ტრიალ მინდორში ასეთ სიცხეში გაჩერება; მზისაგან იწვის ყველაფერი, მაგრამ ამის და მიუხედავათ წესრიგი მაინც საუცხოვოა.

საათის 3 მოედანზე თავს იყრიან შეიარაღებული კომუნარები. ისინი ჩამწკრივებული არიან ორ რიგათ. პარადს ღებულობს კ. გურგენაძე, რომელიც მოკლე სიტყვით მიესალმება მათ.

მოედანზე ზღვა ხალხია. ამის შემდეგ იხსნება მიტინგი. მიტინგზე გამოდიან ორატორები; კ. გურგენაძე და ხელაძე. საათის 5-ზე მიტინგი იხურება. საღამოს ადგილობრივ სახალხო სახლში გამართული იქმნა წარმოდგენა. წარმოდგენის წინ რელიგიაზე ილაპარაკა ხელაძემ. მისი მოხსენება, როგორც შინაარსით, ისე ლამაზი და მოხდენილი ლაპარაკით საუცხოვო და საინტერესო იყო. დამსწრე საზოგადოება სულ განაბული უსმენდა ორატორს. მოხსენების შემდეგ გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივი დრამატიული დასის მონაწილეობით. დადგმული იქმნა ორი მხიარული ვოდევილი. წარმოდგენა კარგათ ჩატარდა და დამსწრე საზოგადოებამაც ბევრი იცინა. საათის პირველზე ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა.

ამსაითელი.

პარტიაში

დღეს, მაისის 13, დილის 11 საათზე ცენტრალურ ბიუროში მეორე რაიკომის ოთახში დანიშნულია რაიკომის წევრების მორიგი სხდომა.

— დღეს დილის 11 საათზე, „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა.

ბის მიხედვით და მიკერძოების ლობეზე ტანისამოს არ ჩამოვიხევ. ეს მით უფრო შესაძლოა ჩემთვის, რომ მე არავისაც არ ვიცნობ პირადათ და არც გავიცნობ, რადგანაც მე უცხოეთში გადავეჩვიე ქართულ ქათინაურებს და სადღეგრძელოებს, რომელსაც ჩვენი მწერლობა მეტად შესჩვევია. „ლოთობა ღვინით, თუ ლოთობა პოეზიით“—არის ლოთობა და, როგორც ასეთი, მავნე ზნეთ უნდა ჩაითვალოს. იგი ისეთივე ავადმყოფობაა, როგორც, მაგალითად, კოკაინიზმი ან მორფინიზმი. და, თუ გადაჭარბებული ხმარება ამ ნარკოტიულ საშუალებისა ჭსწამლავს ადამიანს და წამალი შხამად იქცევა, მაშასადამე პოეზიის გადაჭარბებაც ცხოვრებაში ჭსწამლავს ადამიანის ცხოვრებას და მავნე მოვლენად ხდება. „პოეზიით მთვრალნი“ ისეთივე ავადმყოფნი არიან როგორც მორფინისტები, კოკაინისტები, ალკოოლიკები და სხ. არც ერთ ერს დედა მიწის ზურგზედ არა ჰყავს იმდენი პოეტები და მწერლები, როგორც საქართველოს, რომელიც უმთავრესად მთა-მადნის ქვეყანაა და რომელსაც უფრო ინჟინერ- ქიმიკოსები და ლითონისტები ესაჭიროება ერის გასამდიდრებლად და გასაბედნიერებლად... მაგრამ, საუბედუროთ, ეს სპეციები შედარებით ნამეტან უმცირესობას წარმოადგენენ! რით უნდა აიხსნას ასენი არა ნორმალური მოვლენა? უპირველეს ყოვლისა მით, რომ საქართველოში, სადაც ასეთი მდიდარი ბუნებაა, სავსე ნაირობით და ფერადებით, ყველა პოეტად იბადება და პოეტური პოტენცია დაბადებითვე ისე ჰყვება, როგორც ბავშს ბუსუსი... მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ ეს ბუსუსი, როგორც პირველობითი ცხოვრების ნიშანი, ბავშს მალე ეკარგება. ახლად დაბადებული ბავში სრულ ადამიანის რთულ და დამთავრებულ სხეულთან თან-და-თანობითი დაახლოვებაში განიცდის ზრდას, წარმატებას და განვითარებას: იგი იცვლის და ჰკარგავს ყველა ერს, რაც ზედ-მეტია და ამაგრებს და ითვისებს იმას რაც ცხოვრებისთვის უფრო საჭიროა. და მაშინ, როდესაც კულტურულად დაწინაურებული და ჯიშით ანუ მოდგმით გაუმჯობესებული ადამიანის სხეული სუფთაა ყოველ გამოუსადეგარ „ზედ-მეტობისგან“,—ჩამორჩენილი და დაქვეითებული ადამიანის სხეული ველურივით მორთულია ბალნით, რომელიც ხშირად მთელს ტანსა ჰფარავს: ასეთი ადამიანი, რომლის გულ-მკერდიც ბალნით არის სავსე, უფრო დაბერილი ფორბების გალმერთებამ, რომელნიც თავის თავად არაფერს არა ნიშნავდნენ, გარდა გარეგნობითი სილამაზისა, რომელიც ხშირად მახინჯს შინაარსსა ჰფარავდა, მიიყვანა ქართული პოეზია დეკადენტობამდის. Dècadence ნიშნავს დაცემას და მართლაც ეს ხანა არის ხანა პოეზიის დაცემისა და გადაბირებისა, უშინაარსო, უფრო უაზრო და გაუგებარი, აი როგორ შეიძლება დავახასიათოდ ეს ხანა ჩვენ პოეზიაში. აქ შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი ნიმუშები ისეთი ნაწარმოებებისა, რომელშიაც ისტორიული ვალალის, კივილის, სიცილის და პარანჟიაობის მეტი არაფერი არ არის. მაგრამ ამაზედ შემდეგ: თვითეული პოეტის შემოქმედების ინდივიდუალობის გამორკვევის დროს აღვნიშნავთ, აღსანიშნავია. დღეს კი საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რაც რომ ამ უაზრობის ხანაში პოეტები გამრავლდნენ, როგორც სოკო და, რასაკვირველია, ფესვები ვერ მოიკიდეს. ერის ცხოვრებაში მათ ვერაფერი ვერ შეიტანეს, ენაზედ ვერაფერი გავლენა ვერ იქონიეს და მის გარეშე დარჩნენ: ახალი შენობა რომ აღიმართება, აქ მათთვის ბინა აღარ აღმოჩნდება. უშინაარსო და უაზრო პოეზია შეიძლება მხოლოდ დროებით იყოს გამართლებული და ქართველი ერის ცხოვრებას იგი არ შეეფერება. ამის დასამტკიცებლად შევადაროდ ძველი და ახალი პოეზია: რუსთაველიდან ჭავჭავაძემდე თითქმის 800 წლის მანძილზე ქართულ პოეზიას ახასიათებს ის, რომ ყოველ მგოსანს აქვს საკუთარი ფიზიონომია, საკუთარი აზრი, საკუთარი შინაარსი და ფილოსოფიაც,—დღევანდელ მგოსნებს კი, რომელთა რიცხვიც მრავალია, აქვთ მხოლოდ ერთი ფიზიონომია, მრავალი ფორმა და ეკზოტიკა გამოთქმისა, მხოლოდ არც ერთს არა აქვს საკუთარი აზრი, საკუთარი შინაარსი და ფილოსოფიაზედ ხომ ლაპარაკი სულ მეტია...

ამიტომ დღევანდელ პოეზიას არა აქვს სიღრმე, მოკლებულია შინაარს და ფილოსოფიას. დღევანდელი ქართული პოეზია ფორმების და ფერადების პოეზიაა და მომავალ ცხოვრებაში ის ნათელს ვერ შეიტანს. ის იცოცხლებს მეტად მოკლე ხანს; იცოცხლებს, მანამდისინ იქნებიან კიდევ ნაწყვეტი ელემენტები ჩვენი რევოლიუციისაგან გადატეხილ ცხოვრებისა, რომელთაც შეუძლიანთ კიდევ დღევანდელ პირობებში „ოცნება“, „ცისკენ მისწრაფება“, „სილამაზის გრძნობა და ძიება“, ე. ი. ყველა ის, რის განცდაც შეიძლებოდა შორეულ წარსულში, დღეს, როდესაც კაცობრიობის წინაშე იხსნება ახალი გზები და ისახება ახალი მიზნები; როდესაც შენდება ახალი ცხოვრება და იქედება მომავალი, რომელიც ეკუთვნის სწორეთ იმ „მშრომელ ხალხს“, რომლისთვისაც დღეს ყოველგვარი „ოცნება“, „ცისკენ მიისწრაფება“, ცარიელი სილამაზის და უშინაარსო მშვენიერების ძიება სრულიად ზედ-მეტი მოვლენაა და უსარგებლოდ დროს კარგავ; როდესაც ცხოვრების ახალი პირობები მოითხოვენ ადამიანისაგან გამწვავებულ ბრძოლას ლუკმა პურისათვის და როდესაც უბრალო ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდულობას უფრო მეტი ადგილი აქვს ცხოვრებაში, ვიდრე პოეზიას; როდესაც მთელი კაცობრიობა ჰბორგავს მსოფლიო რევოლიუციის მოლოდინში და მის დაღლილს ტვინს და დაქანცულს სულს ელანდება ცეცხლის გრიგალი და სისხლის წარღვნა—აი ამ დროს ადამიანი ვეღარა ჰგრძნობს „სილამაზეს“, ვეღარა ჰგრძნობს „მშვენიერების ძალას“ და უშინაარსო პოეზია „ფორმების და ფერადების“ მისთვის „ყოველ ინტერესსა ჰკარგავს... ისტერიული კივილი, უკმაყოფილობა აწმყოთი და წარსულში ნუგეშის ძებნა ერის დატანჯულს გულს ვერ განკურნავს, მის აშფოთებულს სულს ვერ დაამშვიდებს... საჭიროა ახალი ძალები, რომელნიც შეიგნებენ მომენტს და „გადაცვლილი ღმერთების ძახილით“ და გოდებით აღარ შეგვაწუხებენ; საჭიროა ძალები, რომელნიც გაჭკვეთენ ახალ ცხოვრების კვალს და ერის გულმკერდზედ, როგორც გრდემლზედ, გამოსჭედავენ მის მომავალს; თვალთ გამჭრიახნი და სულით მნათობნი შეჭქნიან იმ განთიადს, რომელსაც მოჰყვება ბრწყინვალე მზე... საუბედუროდ, დღევანდელ პოეზიაში ჯერ არ არიან ასეთი ძალები. „პოეტების ჭორობა“ კი ჩვენი ერის ცხოვრებაში აიხსნება მხოლოდ ლოთობით: ყველა ის, ვინც დღეს პოეზიით ითვრება, პოეტი არ არის... „პოეზიით მთვრალნი“ ეს ის მგოსნები ანუ მოშაირენი არიან, რომლებზედაც უკვდავმა შოთამ სთქვა:

„არ ძალუძს სრულ-ქმნა სიტყვათა
გულისა გასაგმირეთა!
ვამსგავსე მშვილდი ბედითი
ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლენ, ხელად აქვსთ
ხოცვა ნადირთა მცირეთა“.

გენო ყორჩიბაში.

ᲡᲐᲯᲔᲑᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲡᲗᲐᲜ

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘ.

მექათმეებო, ქათმები ხშირად იფხანენ ნისკარტით კანჭებს და ჯიჯღლიბოს. ფხანას იწვევს მავნებელი, თვალით უჩინარი ტკიპი და არის მუნი.

ფრინველის მუნის წამლობა ადვილია; ნუ დაიზარებთ და იხსენით ფრინველები სატანჯველისაგან, მოვლა ყველაფერს ესაჭიროება.

ვინც ქათმის და სხვა შინაურ ფრინველის მოვლა-მოშენებას მისდევს, იმას უეჭველია ეცოდინება ავადმყოფობა „მუნი“.

მუნს იწვევს ერთგვარი უჩინარი მუქთახორა ცხოველი, ტკიპი რომელიც შეგვიძლია დავინახოთ მხოლოდ უჩინ-მაჩინით (მიკროსკოპი.

ეს ტკიპი ძალიან მოყვარულია სხეულის ტიტველი, უბუმბულო ალაგებისა, აქ ის პოულობს თავისთვის კარგ ბინას და საზრდოს.

ასეთი ალაგებია შინაურ ფრინველის კანჭები, ჯიჯღლიბო, ბიბილოები და ისიც აქ დაბინავება ხოლმე და თვის საწუწნავებით სწოვს ფრინველს სისხლს, რომლითაც ის იკვებება, ირჩენს თავს. ტკიპის კბენა იწვევს საშინელს ქავილს, ფრინველი ნისკარტით იფხანს გაღიზიანებულ ალაგებს, ხოლო ფხანვას შედეგათ მოსდევს კანის დაკაწვრა, წალის დენა და შეხმობა, დაფხანილ ალაგების დასივება.

თუ პატრონმა ადრევე ყურადღება არ მიაქცია და არ უაქიმა, კანჭები ფრინველს ძალზე უმსხვილდება, ზერე ფენი რქასავით უმაგრდება და ხორცმეტები უჩნდება.

წამლობა მუნისა მეტათ მარტივია.

აფთიაქში იყიდება ეგრეთ წოდებული „მწვანე საპონი“; უნდა იყიდოთ და წაუსვათ კარგათ დაავადებულ კანჭებზე ან ჯიჯღლიბოზე.

სამი დღის შემდეგ ამ ადგილებს მობანთ თბილი წყლით და ხელმეორეთ წაუსვამთ ისევე ამ მწვანე საპონს.

თუ მწვანე საპონი ძნელი საშოვარია, წაუსვით ზეითუნის ზეთი ან სხვა რამ სამარხო ზეთი, რომელიც დაალბობს გამაგრებულ კანს, სამი დღის შემდეგ წააცხეთ შემდეგი წასაცხები: აიღეთ ერთი სასადილო კოვზი ნავთი და სამი კოვზი ლორის ქონი (უმარილო), აურიეთ კარგათ და ისე წაუსვით. სამი დღის შემდეგ თბილი წყლით მომბანეთ და კიდევ წააცხეთ.

ამ წამლობასთან ერთად უნდა მოახდინოთ გაუვნებლობა (დეზინფექცია) საქათმოსი ამ ნაირად დაგავეთ კარგათ საქათმე, ნაგავთან ერთად ვამოიტანეთ საბუდრებიდან ამოღებული თივები და დაწვით.

გაქენით სქლათ კირი წყალში და მოასხით საქათმის იატაკს, კედლებს, საბუდრებს, ქათნების დასაჯდომ ხარი ხებს. საბუდრებში ჩააფინეთ ახალი თივა და ჩალა.

(მიწის ᲫᲣᲨᲐ). **ᲛᲐᲜᲘ.**

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

არის სიამოვნება, რომლის შესახებაც ვერ იტყვი მომეწყინაო.

ასეთია ვანო სარაჯიშვილიც, რომლის იუბილეც მაისის 16 გაიმართება.

საოპერო არტისტის იუბილე ჩვენში პირველია.

ვანო სარაჯიშვილიც ჩვენში პირველია, როგორც დიდი საოპერო არტისტი.

ვანო სარაჯიშვილმა პეტროგრადის კონსერვატორია გაათავა, შემდეგ იტალიას იყო და პირველი გამოსვლისთანავე საპატიო ადგილი დაიჭირა საოპერო დასში.

ოცის წლის განმავლობაში ემსახურებოდა მუსიკის ამ უმაღლეს დარგს და უცხო ოპერასთან ერთად მშობლიურ ოპერის შექმნასაც ნიადაგი მოუმზადა.

ვინ არ დამტკბარა მისი ჯადოსნური ხმით, ვინ არ მოხიბლულა მისი სიმღერით, ვისაც კი ერთიც მოუსმენია.

და, აი, ამ მომხიბლავ მომღერალს ამა წლის მაისის 16 სახელმწიფო ოპერის თეატრში იუბილეს გადაუხდიან.

როგორც ყოველთვის, ახლაც სამშობლო ხელოვნებისა და მის ქურუმი მოყვარული საზოგადოება სიყვარულით მოვა თეატრში, რათა თავის აულიერ ამაღლების ნიჭიერ მსახურს მადლობა გადაუხადოს.

ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲔᲚᲘ.

ივნისის 5-ს სამშაბათს, რუსთაველის თეატრში გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო.

I სიტყვები: 1) პროფესორი შ. ნუცუბიძე: შპენგლერის მეორე წიგნი; 2) კ. გამსახურდია: დავით გურამიშვილი.

II საკონცერტო განყოფილება.

III დეკლამაცია.

IV „პაროდია მთელ სეზონზე“.

ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ. კვირას, 13 მაისს, რუსთაველის თეატრში გამართული იქნება მოლარე თამარ გ. ჭავჭავაძის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება უკანასკნელათ „მზის დაბნელება საქართველოში“ დადგმა კ. მარჯანიშვილისა ვასო აბაშიძის მონაწილეობით.

სახალხო სახლის ქართული დრამატიული დასის მიერ სოსო რომანიშვილის რეჟისორ. წარმოდგენილი იქნება პიესა „დონკიხოტი“.

13 მაისი, 1923 წ. დილით.

ᲛᲣᲨᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲜᲘ — ᲓᲐ ᲮᲐᲜᲯᲐᲠᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ —

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საამშენებლო სამუშაოსათვის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილ უნდა იქნეს საქონლის მანეთის ანგარიშით: მუშა-ხელისათვის იმ ინდექსის მიხედვით, რომელსაც გამოაქვეყნებს ხოლმე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილება, ხოლო მასალისათვის იმ ინდექსის მიხედვით, რომელსაც გამოაქვეყნებს ხოლმე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საეკონომიო განყოფილება.

2. სახალხო მეურნეების უმაღლესი საბჭოს საეკონომიო განყოფილება ვალდებულია ყოველთვიურად გამოაქვეყნოს ხოლმე მასალის ინდექსი.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნული ინდექსის გამოქვეყნების შემოღებამდე აღრიცხვის შედგენის დროს მასალისათვის სახელმძღვანელოდ უნდა იქნენ მიღებული პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილების მიერ გამოქვეყნებული სამუშაო ხელფასის სასაქონლო ინდექსი.

3. სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის საამშენებლო განყოფილებამ ყოველთვიურად უნდა გამოაქვეყნოს ცნობის ფურცელი მუშა-ხელისა და მასალის ფასების შესახებ, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს მშენებელთა კავშირის ცენტრალური განგეობის ცნობებით და მასალების ფასით 1914 წლისა; ამასთანავე ეს ფასი გადატანილ უნდა იქნეს საქონლის მანეთზე და შეტანილ იქნეს აუცილებელი შესწორება, ბაზრის პირობების მიხედვით.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული ცნობის ფურცელი შედგენილ უნდა იქნეს საამშენებლო განყოფილების მიერ მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით და დამტკიცებულ—სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტისაგან და იგი სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა დაწესებულებისათვის.

5. შესრულებული საამშენებლო სამუშაოს ანგარიში გასწორებულ უნდა იქნეს ხარჯთ-აღრიცხვასა და ხელშეკრულებაში აღნიშნული ფასების თანახმად, საქონლის მანეთის უკანასკნელი კურსისამგბრ.

6. ვინაიდა ინჟენერ-ტეხნიკოსებისათვის უკვე დაწესებულია სპეციალური განაკვეთი—საპროცენტო ანარიცხი გაუქმდეს და ხარჯთ-აღრიცხვაში არ შეიტანებოდეს.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე**

1923 წ. მაისის „10“.

ტფილისი—სასახლე.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

მცირე განმარტება.

გაზეთ „ტრიბუნის“ 467 ნომერში საღამოს კურსების შესახებ დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც თავიდან ბოლომდე სიყალბეს წარმოადგენს. რადგან ვილაცას რედაქცია შეცდომაში შეუყვანია, ამიტომ საჭიროდ ვსთვლით შემდეგ განმარტებას:

1) კურსებზე სწავლის ფულის რაოდენობას აწესებენ თვით მსმენელები თავისი წარმომადგენელთა საბჭოს საშუალებით (საამისო წერილობით საბუთს უდგენთ რედაქციას *).

2) კურსები არსებობენ საკუთარი მეურნეობით და თანხებით, როგორც მოსამზადებელი სასწავლებელი და რადგან ლექტორთა ჰონორარი და სხვა ყოველი ხარჯები აღრიცხულია საქონლის (და არა ოქროს) მანეთით ამიტომ **მსმენელთა საბჭომ შემოიღო ორი მანეთი** სწავლის ფული თვეში.

3) არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ჩემთან ამ საკითხზე მომართვისა და რაიმე შეუფერებელ პასუხის მიღებისა. მე განვაგებ **მხოლოდ სასწავლო საქმეს** და არა სამეურნეოს.

4) კურსებზე არიან სწავლის ფულისაგან განთავისუფლებული მსმენელები, რომელთა სიას რედაქციას წარუდგენთ.

ამრიგად „ტრიბუნა“-ში მოთავსებული ცნობები თავიდან ბოლომდე სიყალბეა. სამწუხაროა, რომ ასეთი ცნობების მიწოდებით პატივცემული რედაქცია შეცდომაში შეიყვანეს.

კურსების გამგე **შ. ნუცუბიძე.**

ამხ. რედაქტორო!

„ტრიბუნის“ მე-467 ნომერში მოთავსებულია წერილი საშვალო განათლების კურსების (ნუცუბიძის) შესახებ. ყველასათვის აშკარაა, თუ როგორ დახმარებას უწევს ხსენებული კურსები საზოგადოთ ყველას და კერძოთ იმათ, რომლებიც მსახურობენ და ამ საშვალებით სწავლის შესაძენათ საჭირო ქონებრივ ნაკლს ივსებენ; განსაკუთრებით ეს კურსები ამ მხრით დაუფასებელია; მით უმეტეს დღევანდელ კრიტიკულ მომენტში. მაგრამ ამ დაწესებულების დიადი დანიშნულება ვერ შეუგნია ვილაც „მსმენელს“ და უტიფრად გამოდის „ტრიბუნის“ მკითხველთა წინაშე, ყალბი საბუთებით და საზიზღარი ცილის წამებით. ჩვენ ვეჭვობთ, რომ ბ. „მსმენელი „ეშმარიტი მსმენელი იყოს თორემ მას უფრო კარგათ უნდა სცოდნოდა თუ რამ გამოიწვია მღელვარება, ჩვენის აზრით, წერილის ავტორს ამოქმედებს აშკარა მტრობა „ნუცუბიძის“ კურსებისადმი, თორემ უფრო მიუდგომლად გადმოგვცემდა იქ მომხდარ ამბებს და უფრო სინდისიერად დააფასებდა შ. ნუცუბიძის ღვაწლს. „ნუცუბიძემ მუქარით და გინებით აიძულა მსმენელთა საბჭო 2 მან. (ოქროთი) დათანხმებულიყვენო“; ვფიქრობთ დაგვეთანხმება ბ. „მსმენელი“ შემდეგში: როდესაც სპეციალური კომისია გადასახადის ნორმას იმუშავებდა ამ სხდომას ნუცუბიძე არ დასწრებია და მაშასადამე არც გავლენას და არც მუქარას ადგილი არ ქონია.

ყველა მსმენელმა, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი კურსების ბედით იცის, რომ სწავლის ფულისაგან თავისუფლება [illegible] მსმენელებისა და ბ. „მსმენელმა“, თუ ის მართლა მსმენელია მიკვირს [illegible] ბულმა მსმენელებმა საჩივარი შეიტანეს განათლების კომისარიატშიო“. იცით თუ არა, ბ. „მსმენელო“, რომ ის განცხადება შეტანილ იქნა ერთი „თუ ორი უპასუხისმგებლო პირისაგან და მსმენელები აქ არაფერ შუაში არ ყოფილა? იცით თუ არა, რომ მსმენელები ამ უპასუხისმგებლო მოქმედებამ აიღელვა.

ჩვენ გირჩევთ, ბ. „მსმენელო“, რომ ფაქტების არსებით მხარეებს მიაქციოთ ყურადღება და [illegible] რადი მტრობისა და ინტერესის დასაკმაყოფილებლად ნუ დაუმახინჯებთ სინამდვილეს სახეს.

საერთო, საშუალო განათლების მსმენელთა საბჭოს **პრეზიდიუმი.**

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩემს შემდეგ განცხადებას: დღემდე ახალგაზრდობა და პოლიტიკური მოუმზადებლობა არ მაძლევდა შესაძლებლობას რომელიმე პოლიტიკურ პარტიას მივკედლებოდი. დღეიდან ყოველგვარ დაუშვებლად მიმაჩნია ასეთ რთულ მომენტში პოლიტიკურ პარტიის გარეშე დგომა. ამიტომ მსურს შეუერთდე საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიას, რომელიც სისწორით იცავს ერის და მშრომელი ხალხის ინტერესებს.

ᲮᲕᲘᲗᲘᲡᲐᲕᲐᲠ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲕᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

1921 წ. თებერვლამდე ე. ი. საქართველოს გასაბჭოებამდე ვეკუთვნოდი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას. პარტიის გაყოფის შემდეგ ოფიციალურად დავრჩი ორივე მიმართულების გარეშე. სავსებით ვიზიარებ რა მემარცხ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიზანს და ტაქტიკას, მსურს ჩავირიცხო ამ პარტიის წევრად.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲝᲠᲝᲡᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲔᲓᲘᲐ.

1921 წელს რომ განხეთქილება მოხდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში, მე დავრჩი პარტიის გარეშე და თავიდანვე ვიზიარებდი მემარცხენე სოც.-ფედერალისთა პარტიის ტაქტიკას და იდეას, ამიტომ მსურს ჩამრიცხონ პარტიაში.

ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲐᲤᲐᲥᲘᲫᲔ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲐᲛᲘᲗ ᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲝ

ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ

რომ **ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ** მიერ იჯარით იცემა ერთი წლის ვადით შემდეგი ბაღ-რესტორანები „არტო“, „სოლეი“ და „ზვეზდა“ პლეხანოვის პროსპ., „კრუჟოკი“ კირკის ქუჩაზე და „უნიონი“ სოლოლაკის ქუჩაზე პირობების გაგება შეიძლება საფინანსო განყოფილების მდივანთან ამხ. ქიქოძესთან ოთახი № 14.

№ 357. 4—2 საფინანსო განყოფილების გამგე—**ვ. ფიალკოვსკი.**

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲠᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲘᲠᲐᲕᲔᲔᲑᲘ,

რომელნიც დაკეტენ დარაბებს, საწყობებს, სარდაფებს ან სხვა გვარ სავაჭრო-სამრეწველო კანტორებს და დაწესებულებებს, ვალდებულნი არიან ანგარიში გაასწორონ საფინანსო განყოფილების სადარაბო სექციაში, სადაც უნდა წარმოადგინონ ქირის გადასახადის ქვითარები, ორდერები და გასაღებები დარაბებიდან ალმასკომის ინვენტარის გატანა სასტიკად აკრძალულია.

№ 358. 4—2 **საფინანსო განყოფილების გამგე.**

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ,

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲨᲝᲤᲔᲠᲔᲑᲛᲐ, ᲥᲐᲚ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲝᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ.

ამის გამო ყველა შოფერები, გარდა სამხედრო ვალდებულნი არიან ორი კვირის ვადაში შეიძინონ ექიმის მოწმობა და ორი ფოტოგრაფიული სურათი და ასეთები წარმოადგინონ პირადობის მოწმობასთან ერთად

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ (ოთახი № 4),

არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25 რიცხვისა.

ᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ:

გამოცდები პირველ რიგში მოხდება შრომის ბარგის აღრიცხვაზე მყოფ შოფერებისა, ხოლო ყველა დანარჩენებ ავტომობილებზე მომუშავენი გამოიცდებიან მეორე რიგში და მათი გამოცდის დრო გამოცხადებული იქნება ცალკე.

კომისიის თავმჯდომარე—**ჩირგაძე.**

№ 359. 3—2

ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 275 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.